№ 199 სექტემბერი 21, ხუთშაბათი 1889 სექტემბერი 21, ხუთშაბათი № 199

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## სასწავლებელი და პანსიონი
### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—8)

პარასკევს, 22 სექტემბერს

დანიშნულია ვერაზე

## ივერიის ბაღში

საიუბილეიო სადილი არტისტებისათვის, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ამ ათის წლის განმავლობაში. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება, შეუძლიან წელი მოაწეროს «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში.

გამგე კომიტეტი კავკასიის სამეურნეო გამოფენისა აცხადებს, რომ გამოფენა დილის 9 საათიდგან საღამოს 6 საათამდე იქნება ღია. შესვლის ფასი სამშაბათს, ოთხშაბათსა, პარასკევსა და შაბათს 30 კაპიკია. გამოფენაზე ყოველ დღე უკრავს ყუბანის პოლკის მემუსიკეთა დასი დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდგან 6 საათამდე.

ცალკე გამოცხადებული იქნება საღამოს ბაღში შესვლისა და ბუფეტის შესახებ (3—3)


## ახალი ამბავი

*** 20 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტმა გადასწყვიტა საქმე ბ-ნ ივანე იაგორის ძის ზუბალოვისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ 1885 წელს ბათუმის მომრიგებელ სასამართლოში საქმიდგან ქაღალდი ამოეხია. სასამართლომ შემდეგი განაჩენი დაადგინა: გაუქმებულ იქმნას ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება, ბ-ნი ზუბალოვი დამნაშავედ იქმნას ცნობილი, ჩამოერთვას ყოველივე განსაკუთრებული და პირადი უფლება, სამუდამოდ აშტრახნის გუბერნიაში გაიგზავნოს და აღკრძალული ჰქონდეს წასვლა სადმე სამის წლით იმ ადგილიდგან, რომელიც საცხოვრებელ ბინად ექნება დანიშნული.

*** 20 სექტემბერსვე სამოსამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა საქმე კერძო ვექილის კონსტანტინე რაფაელის ძის პლიუშჩევსკისა, რომელიც ტფილისის საბრანიამ წევრობიდგან გამორიცხა. პლიუშჩევსკი თავისს საჩივარში თხოულობდა, რომ უკანონოდ იცანით ჩემი წევრობიდგან დათხოვნა, წევრის ბილეთი ჩამაბერეთ და ამას გარდა ათასი თუმანი ზარალი გადაახდევინეთ ტფილისის საბრანიას ამ გვარ უკანონო საქციელისათვისაო. სასამართლომ ამ საქმის შესახებ შემდეგი განაჩენი დაადგინა: ტფილისის საბრანიის მიერ ბ-ნ პლიუშჩევსკის წევრობიდგან დათხოვნა უკანონოდ იქმნას ცნობილი და მოჩივანს ზარალის მიცემასა და საწევრო ბილეთის დაბრუნებაზედ უარი ეთქვას, ხოლო სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯი ტფილისის საბრანიას გადახდევსო.

*** გუშინ, 20 სექტემბერს, ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ივანე ფილიპას ძის კლინკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისის ცოლის ბარბარე კლინკის დარჩობა 1888 წ. 1 დეკემბერს. სასამართლოში თავმჯდომარედ იყო ბ-ნი ე. ფ. ბურგარდტი, წევრებად: ნ. ვ. სტრელკოვი და ნ. ხიზანაშვილი, ბრალმდებლად ნ. ა. კლიჩი, ბრალდებულს იცავდა ი. გუნცაძე. სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა ათამდე მოწამეს და ორს ექიმს-ექსპერტს, ბ-ნთ მრევლიშვილსა და ბახუტაშვილს. თავმჯდომარემ სწორედ ოთხს საათზედ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: კლინკი დამნაშავედ იქმნას ცნობილი, რომ გაანჩხლებისა და თავ-დავიწყების დროს დაურჩევია თავისი ცოლი, და კატორგაში გაიგზავნოს რვა წლის ვადით და იმასვე გადახდეს სასამართლოში საქმის საწარმოებელი ხარჯი.

*** ამ დღეებში ჩვენს ქალაქს ეწვია სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად ორი წარჩინებული კაცი, ერთი კიევიდამ წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი გორჩიჩ-გარნიცკი და მეორე ქ. მოსკოვიდამ პროფესორი მოსკოვის სამხატვრო სასწავლებლისა, გამოჩენილი მხატვარი ბ-ნი მაკოვსკი.

*** სარწმუნო წყაროდგან შევიტყეთ, რომ უმაღლესს მთავრობას განუზრახავს მიანიჭოს ჩვენ ქართველ ებრაელებს ისეთივე სამოქალაქო უფლებანი, რაც ყველა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომსა აქვს მინიჭებული. მხოლოდ სანამ ეს განზრახვა იქნება განხორციელებული, დაჰკითხავიან ადგილობრივ გუბერნატორებს, თუ რა აზრისანი არიან ამ საგანზედ, ასე რომ იმათ რჩევაზე იქმნება დამოკიდებული ამ ფრიად საყურადღებო საგნის ასე თუ ისე გადაწყვეტა და ებრაელების ბედ-იღბალი. კაი ხანია პეტერბურგში მუშაობს კომისია ებრაელების უფლებათა გამოსარკვევად და ბოლოს როგორღაც მისწყდა ყოველივე ხმა ამ კომისიის მოქმედების შესახებ. როგორც სჩანს, კომისიას-კი არ სძინებია, ძალიან ფხიზლადაც უმუშავნია და ვგონებთ მალეც დაამთავრებს თავის შრომასა და წარუდგენს სახელმწიფო საბჭოს განსახილველად.

*** გურია: დღე ისე არ დაღამდება და ღამე ისე არ გათენდება, რომ საოცარი რამ არ გაიგონო, გულის შემაძრწუნებელსა და სულის აღმაშფოთებელს ამბავს არ მოჰკრა ყური: ჩვენც ამ გვარის ამბებით ვაბეზრებთ თავს მკითხველებს, მაგრამ ჩვენ რა, თუ აქაური ცნობები უგემურიცაა, უფერულიცაა, უნუგეშოცაა და უსიამოვნოც. უსაყვედურეთ ჩვენს ცხოვრებას და გულის წყრომით მოეპყარით იმის ქსელ-ბადეებსა და ორმო-ხაფანგებს. ეს გულის წყრომა, ვგონებ, გაგიორკეცდეთ, როცა შემდეგს ამბავს მომისმენთ: თურმეტს ამ თთვისას, ხუთს საათზე, შუადღის შემდეგ, სოფ. ციხეში თავის სახლის მახლობლად თოფით მოჰკლეს ბლალოჩინი მღვდელი იესე ცინცაძე, კაცი მთელს გურიაში ცნობილი და პატივცემული. მკვლელი, რომელიც ეხლა დატუსაღებულია და სამართალში მიცემული, არ მოერიდა არც ნაკურთხს მარჯვენას განსვენებულისას, არ შედგა იმის ქალარა-შერთეულის თმისა და წვერის წინაშე, არ შეებრალა მისი ცოლი, რომელსაც თავის ქმრის შემდეგ სიცოცხლე საწამლავად ექნება გადაქცეული, არ შეებრალა მისი წვრილი შვილები, რომლებიც ობლობაში, ვინ იცის, რამდენს სიმწარესა და ვაებას გამოივლიან და არ შეუშინდა არც საქაოს სამართალს, არც საიქიოს განკანონებას ღვთისას. ამ საზარელის მკვლელობის ამბავი ძლიერ ცოტა ხნის განმავლობაში მთელს გურიას მოედო და აღძრა სიბრალული. მკვლელი (იმავე სოფლის მცხოვრებია, განსვენებულის სამრევლოდგან, გლეხი ბესარიონ ზეთეიშვილი) ამბობს, ვითომც განსვენებულს მისი ფულები ჰმართებოდეს, არ მიეცეს და ამიტომაც მოეკლას

## ფელეტონი

### წისქვილი

(ზღაპარი)

იყო დრო, რომ დედამიწის ზურგზე წისქვილი არსად იყო. ხალხი ფილთაქვას ხმარობდა წისქვილის მაგიერად. დიდს ტანჯვაში იყო ჩავარდნილი ქვეყანა. გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი, ჭკვიანი, ოსტატი კაცი, თედე, რომელმაც წისქვილი მოიგონა. ბევრი იფიქრა თედემ წისქვილის გამართვაზე და არც ამაოდ ჩაუარა ამ ფიქრმა. თედემ კარგად იცოდა, რომ უწყლოდ წისქვილი არ გაიმართებოდა. ამიტომ აირჩია მდინარის ახლო ადგილი და ჩადგა წისქვილი. წისქვილის რუ კარგა შორიდამ მოიყვანა, რუს ფშები მოემატა, წამოვიდა საკმაო წყალი და დაბრუნდა წისქვილი. დაიწყო რუხ-რუხი, ისეთი ვაი ვაგლახი ასტეხა ბორბალმა და წისქვილის ქვებმა, რომ ყველა შეიძრა და შეძრწუნდა, რაც-კი რამ წისქვილს ახლომახლო იყო: დაბლა დედამიწა, გარეშემო კედლები, მაღლა ჭერი, ჭერს ზევით ბანი, ბანს ზევით ტირიფები. დაიწყო ბორბალმა დორბლების, ქაფის აქეთ-იქით სროლა, წისქვილის ქვებიც დატოკდნენ, სარეკელაც მოჰყვა რაკრაკს, თამაშობდა, ბუქნაში ამოდიოდა კოხტად, მოხდენილად. სწორედ ქორწილია წისქვილში: დაფი, ბუკი და ნაღარაც არის, ნეფე-დედოფალიც—ნეფე-დედოფალი წისქვილის ქვებია, ერთმანეთს რომ ეფშენიტ-ექლიშებიან. მოვიდა საფქვავი: პური, სიმინდი, ფეტვი და სხვა და სხვა.

მეწისქვილე თავ-გადაგლეჯილი ტრიალებს. გაბეზრებულს წისქვილს გადაუბნევია იმისთვისაც თავ-პირზე ფქვილი, აღარც ცხვირი ეტყობა საბრალოს, აღარც წვერი და აღარც თვალები. უდროვოდ ჩამოუბერებია საცოდავი წისქვილს და ჩაუცმევია მისთვის ტანზე სუდარა, მაგრამ მეწისქვილე მაინც ამაყად და არწივივით გამოიცქირება. მოდის სოფლიდამ დამწკრივებული ურმები.

— ღმერთმა უშველოს თედესა, — ისმის ხმა სოფლელთა: — ღმერთმა ცოლ-შვილი უცოცხლოს, დაიხსნას ყოველ ბოროტისაგან. სააქაოს ბედნიერად აცოცხლოს და საიქიოს სულით აცხონოს. ჩადგა ქვეყნის მადლში, ღმერთმა სოფელზე დათესილი სიკეთე ერთი ათად მიუწყოს.

სოფელს დიდხანს არ ეჯერებოდა, თუ თედე წისქვილს მოიგონებდა, წისქვილს, რომელიც ოც-და-ათს, ორმოცს კოდს დაჰფქვავედა დღე-ღამეში. სოფლელნი დასცინოდნენ, უშლიდნენ თედეს, ეშმაკის საქმეს თავი დაანებეო, ეუბნებოდნენ. თედემ მაინც არ დაიშალა, პირ-ოფლიანი მუშაობდა: იქნევდა ქარჩსა და ცულს, სთხრიდა და სთლიდა, ქვეყნის საუბარს ყურს არ უგდებდა, იმიტომ გაიმარჯვა კიდეც: გამართა წისქვილი თავის სასახელოდ, მოსაგონებლად და ქვეყნის სახეიროდ. როდესაც წისქვილი გაიმართა, მთელის სოფლის დიდმა და პატარამ წისქვილთან მოიყარა თავი თავს. ძაღლები, კატები და ქათმებიც-კი მოუდიოდათ წისქვილის სანახავად. ზოგი სალორეში ძვრებოდა და ბორბალსა სინჯავდა, სხვა—სარეკელას, ხვიმურს ალატს და წისქვილის ქვებს. წისქვილმა იმდენად გააკვირვა ყველანი, რომ კარებსაც-კი, რომელიც მუხის კუნძისაგან მდაბიოდ იყო გათლილი, და შეშით დახურულს ჭერს განცვიფრებულნი სინჯავდნენ: იმათშიაც უნდოდათ საუცხოვო და საკვირველი რამ ეპოვნათ. თითონ თედე ყველაზე მეტად უკვირდათ. ყველა იმის მიხვრა-მოხვრას ადევნებდა თვალს, უსინჯაელნენ ხელებს, ეგონათ სხვა კაცზე მეტი თითები ექნებაო, მაგრამ თედე გარეგნობით ისეთივე კაცი იყო, როგორიც სხვა ათი ათასია. მხოლოდ იმითი გაირჩეოდა თედე სხვებისაგან, რომ ჭკვიანი, ოსტატი კაცი იყო; ქება-დიდებასა და სახელს არ დაგიდევდათ.

— მე სინიდისით ვიყო დასვენებულიო, — იტყოდა ხოლმე თედე: — ამაზე მეტი ქება და სახელი არ მინდა. სახელი როგორ გააბედნიერებს კაცს, თუ სინიდისი აწუხებს. როდესაც სინიდისიანია კაცი, დასვენებული, ბედნიერიც მაშინ არის.

როდესაც თედე წისქვილს აკეთებდა, მაშინ ხალხი თედეს ეჩხუბებოდა: ნუ ჩხირ-კედელაობო, და ეხლა-კი ერთმანეთში მოსდიოდათ ჩხუბი, არა, მე უნდა დავფქვა წინად, არა, მეო, მეწისქვილესაც აწუხებდნენ. რომ ეს ჩხუბი და დავიდარაბა არა ყოფილიყო მუდამ, თედემ წესი დაუდვა.

— ვინც პირველად მოიტანოს წისქვილში საფქვავი, უთხრა მან თავის მეწისქვილეს: პირველად იმას დაუფქვიო (მას შემდეგ შემოილეს ანდაზა: „წისქვილი ჯერით არისო“). ვინც კიდევ ნედლს საფქვავს მოიტანს, იმას სრული უარი უთხარი, ნუ დაუფქვავ, რადგან წისქვილის ქვები ფუჭდება, ერთგულის პატრონის გამხმარი საფქვავიც გვიანობს და ველარ იფქვის ხეირიანადაო. იცოდე, გახსოვდესო, განუმეორა თედემ: იმისთანა კაცის მინდი ნუ გინდაო.

მეწისქვილემ მართლაც ბევრი ურემი გააბრუნა უკან. ეს წესი და კანონი დაუდვა წისქვილში და წისქვილს ამით მუშტარი არ დაჰკლებია: მუდამ ტრიალებდა და ხრიალებდა, ჰფქვავდა და გადმოჰყრიდა ფქვილად ქცეულს საფქვავს, არავის არ ამადლებდა თავს ხმა-ამოუღებლად მხოლოდ, როცა გადმოებნეოდა ალატში ფქვილი, მაშინ თითქოს ამბობდა: „აჰათ, წაიღეთ, საწყლებო, დაძეხით, მე თქვენი არც სახელი მინდა, არც ქება-დიდება. მე ის მინდა, რომ თქვენ რითიმე გარგოთ, გამოგადგეთ, ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოსო“.

ავ-სული და ავ-გული კაცი არსად და არას დროს არ დაილევა. ერთმა თედეს მოშურნე კაცმა ორი ურემი პური დაფქვა თედეს წისქვილში. ამ ბოროტს კაცს თედესთვის ჰშურდა სახელი და სარგებლობა. ამიტომ იმ წყეულმა კაცმა, არამც თუ თედესი გთელის ქვეყნის დაღუპვაც მოინდომა.

იგი, მაგრამ ეს აქ არავისა სჯერა. 17 ამ თთვეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მიერ გარდახდილ იქმნა წირვა ციხის წმიდის იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიაში, რომლის მღვდლადაც ჰმსახურებდა განსვენებული. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ჩამობრძანდა განსვენებულისას, სადაც დიდ-ძალი ხალხს მოეყარა თავი და, წესის აგების შემდეგ, სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვამ ყველას დიდად აუჩუყა ისეც აჩუყებული გული და ირგვლივ ერთობლივი გოდება და გმინვა გაისმა ამ აუარებელის ხალხისა. სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მისმა მეუფებამ გრძნობიერად მიუსამძიმრა უპატრონოდ დარჩენილს ქვრივს განსვენებულისას და შესაფერი შემწეობა და ყურადღება აღუთქვა.

*** **ოზურგეთი:** ამ ჟამად, ორს ახალგაზრდა კაცს, ბ-ნთ ა. მ—ლის და კ. თ—რეს, განზრახვა აქვთ საჯარო ბიბლიოთეკა და ქართული სტამბა გამართონ. ამ ჟამად ამის მეტი რა გვეთქმის, რომ ღმერთმა ინებოს და ამ ყმაწვილმა კაცებმა თავიანთი განზრახვა საქმედ აქციონ.

*** **სურამ-ხაშური:** რაც დღე გადის, იმდენი უფრო მატულობს ჩვენში კაცის კვლა, ცარცვა-გლეჯა, ქურდობა და სხვა ავ-კაცობა. ამაებით დიდი ხანია თავი მოვაბეზრეთ მკითხველებს, მაგრამ რა ვქნათ: ისე შეშინებულები ვართ, რომ ღამე ძილი არა გვაქვს, ველოდებით აი საცა არის ავაზაკები მობრძანდებიან და მოგვეკითხავენო, ანუ რატომ არ უნდა ველოდეთ, როდესაც მეტისმეტად გათამამებულნი არიან და ათში ერთი ქურდ-ავაზაკი ვერ აღმოუჩენიათ. მომეტებულად დაგვაფრთხო სექტემბრის 8 ჩადენილმა ავკაცობამ. იმ ორის თათრის მკვლელები დღესაც ვერ აღმოუჩენია პოლიციას. მართალია, ერთი თათარი „მაშადი“ დაჭერილია, ისიც გამომძიებლის მეცადინეობით, მაგრამ ღმერთმა უწყის, ეს კაცი დამნაშავეა, თუ არა, ჯერ-ჯერობით ამის საწინაამდეგო საბუთი ხელთ არა აქვთ რა. ამ დღეებში ღამე ფოსტის სადგურის ზედამხედველს ბებურიშვილს მიუხტნენ ავაზაკები. ცოლს წინად გაუგდიათ, ქმრისთვის დაუყვირნიათ და ქმარს ბიჭებისთვის შეუტყობინებია, წამოუვლია თოფისთვის ხელი, გამოსდგომია, მაგრამ ავაზაკებს მოუსწრიათ გაქცევა და დამალვა. ამ დღეებშივე გაუტეხეს სახლი საყვარელიძეს და ქიპაშვილს ხაშურში და გაიტანეს ტანისამოსი, ლოგინი და სხვა სახლის სამკაული. 15-ს ღამით გაუტეხნიათ სურამში პირველს ქუჩაზე დუქანი ყასაბ ბადალა მღებროვისა, დახლიდგან ორი მანეთი ფული წაუღიათ. ხმა დადის, ვითომ მთავრობას განკარგულება გაუცია, რომ ცხინვალსა და სურამში ახალი პოლიციის მოხელეები დაინიშნოსო. აქაურები ამ ამბავს გულის ძგერით მოელიან: იმედი აქვთ, რომ იქნება ახალმა მოხელეებმა შესძლონ ჩვენი დაცვა და მოვლაო.

*** **სოფ. კასპი:** ამ ზაფხულს ერთ-ერთს მშვენიერ დილას აქ დიდი არეულ-დარევა და ლაპარაკი იყო, როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხ-კაცებს შორის. აქა-იქ მოჩურჩულე და მოლაპარაკეს დაინახავდით. რკინის გზის სადგურის წინ (აქაური სალაყბოა) ხალხი ზოგი რას ლაპარაკობდა და ზოგი რას. „აი, შეარცხვინა ღმერთმა, განა ეგრე უნდა გვარის დამცირებაო“, ამბობდა რამდენიმე კაცი. „აიპე, აიპე, რა ჩაიდინა იმ დალოცვილმა! ვის ეგონა, რომ ეგრე სინიდისიანად მოიქცეოდა ის ბალღი?!“ — გაიძახოდნენ გლეხ-კაცები. მიზეზი ამ ლაპარაკისა გახლდათ თ. კ. ა., რომელმაც შეირთო გლეხის ნონიაშვილის ქალი და მით, ზოგიერთების აზრით, ვითომ შეარცხვინა გვარიცა და თავადიშვილობაც. ამ ქორწინებამ გამოადებინა თავი ზოგიერთ სახლი-კაცებს, უჩივლეს მღვდელს და ამასთანავე ისეთი ცილი დასწამეს, რომ რიგიანი კაცი, არამც თუ იკადრებდა, არც-კი იფიქრებდა. ამის გამო საბრალო მღვდელი კანონამ გადაიყვანეს, მაგრამ მთელმა სოფელმა, გარდა ორი-სამის კაცისა, მიართვა არქიელს თხოვნა და ორმოცის წლის ნამსახური მოხუცი მღვდელი, არაფრის დამნაშავე, ისევ დასტოვეს თავის ადგილს და ამით მოჩივრებს პირში ჩალა გამოევლოთ.

---

## სამების ტაძარი სოფ. ხაშმის მახლობლად.

ძველადგანვე ქართველნი განთქმულნი იყვნენ სარწმუნოების სიმტკიცითა და მაღალის ზნეობით. ნიშნად ამისა მთელი საქართველო მოფენილი იყო დიდებულის ტაძრებით. დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ბრწყინვალე დროს შემდეგ მრავალი შენობა შემუსრვილ და დანგრეულ იქმნა ულმობელის მტრის ხელით, მაგრამ მაინც აქამომდე მოწმად არის დარჩენილი ჩვენის მამულის სხვა-და-სხვა კუთხეში დიდებულ შენობათა ნაშთი, ისე დაძველებული და შერყეული, რომ თუ არ მივეშველეთ და არ განვაახლეთ, სრულებით აღმოფხვრილ იქნება საძირკვლამდე. ერთი ამისთანა შენობათაგანი არის სამების ტაძარი სოფ. ხაშმს ახლო, ეს განთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, ჩვენდა სათაკილოდ, პირუტყვთა და მეძროხეთ სადგომად იყო გადაქმნილი. ეხლა ამ ტაძარსაც მიაქცია თვისი ყურადღება მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ და მომანდო მე მისი განახლება და განშვენება. ამ საყურადღებო მოძღობილობის აღსრულებას კიდეც შევუდექი, - მაგრამ ამისთანა დიდებულის ტაძრის შესაფერად განახლებას ვერ შესძლებს მარტო სასულიერო უწყება, თუ მთელმა კეთილ-მორწმუნე ერმა არ აღმოუჩინა თავისი თანაგრძნობა და დახმარება. ჩვენი საზოგადოება ნათლად ჰხედავს და ჰგრძნობს მნიშვნელობას დანგრეულ და გაუქმებულ ტაძრების განახლებისას და აღდგენისას, და მოიმედენი ვართ, რომ ამ ჟამად თავის ყურადღებას არ მოაკლებს დიდებულის სამების ტაძრის განახლებასაც, მოსახსენებლად ჩვენდა მამა-პაპათა, როგორც მოღვაწეთა და აღმაშენებელთა, და სასიქადულოდ თანამედროვე ქართველ საზოგადოებისა, რომელსაც გულში უღვივის დაუშრეტელი სიყვარული სამშობლოისა და მის დიდების ნაშთთადმი. ყოველივე შემოწირულობა მიღებულ იქმნება დიდის მადლობით და შემომწირველთა და შემოწირულობათა სია თავ-თავის დროს გამოცხადებულ იქნება გაზეთს „ივერიაში“.

გამგე სამების ტაძრის განახლების საქმისა არქიმანდრიტი მაკარი

---

## ათის წლის იუბილეი

### ქართულის თეატრისა

(საიუბილეო წარმოდგენა 19 სექტემბერს)

სიხარულითა და თანაგრძნობით მიეგება გუშინ-წინ ჩვენი საზოგადოება ქართულის თეატრის ათის წლის იუბილეს. ჯერ საღამოს რვა საათი არც-კი იყო, რომ თეატრის დარბაზი აივსო ხალხით. საზოგადოება სასიამოვნოდ ჰხედავდა ელექტრონის საუცხოვო სინათლით განათებულს ვრცელ დარბაზში, რომლის ფოიე მორთული იყო ყვავილებით, ორხოებით, თამარისა, რუსთაველისა, ქართულის თეატრის მოღვაწეთა, სათეატრო მწერალთა და არტისტების სურათებით. ხალხი მალე დასხდა და ელოდა ჯერ საიუბილეო დღესასწაულს, საიუბილეო ცერემონიას და მერე თვით წარმოდგენას, რომელიც, როგორც სჩანდა, სავსებით მოსწყურებოდა ამ ხუთ-ექვს თვეში, შარშანდელ სეზონს შემდეგ. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა ფარდის ახდას გულწრფელად უხაროდა ჯერ დღესასწაული თეატრის ათის წლის არსებობისა და მერე წლის პირველად ნახვა ჩვენის ნიჭიანის არტისტების თამაშობისა, იმ თამაშობისა, რომელსაც არა ერთხელ უსიამოვნებია და დაუტკბია ჩვენი გული და სული ამ ათის წლის განმავლობაში. ამ ორ-გვარმა მოსალოდნელმა სიამოვნებამ შეაპყრო საზოგადოება: გულმა აჩქარებით დაიწყო ძგერა, სულთქმა შეუგუბდა, საზოგადოება გაჰკვა, გამსჭვალა ერთმა ფიქრმა, ერთმა გრძნობამ. გული ყველასი გადაიბა ერთის უხილავის ძაფით, ყველანი გავერთდით, ერთად-მაინად გადავიქეცით და... დაიწყო კიდეც საიუბილეო ცერემონია. მემუსიკეთა ხორომ დაუკრა რუსული საერო სასაგალობელი: „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“... აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდა განგებ ამაღლებულ ადგილს ყვავილებით, მწვანით და დაფნის გვირგვინებით მორთული სურათები სამის ჩვენის დრამატურგისა: გიორგი ერისთავისა, რაფიელ ერისთავისა და ა. წერეთლისა. ამ სურათების მარჯვნივ იდგნენ მწკრივად რვა არტისტი ქალი, ოთხი ევროპიულად მორთული და თავ-შიშველი და ოთხიც ქართულად ჩაცმულნი და თავ-დახურულნი; მარცხნივ იდგნენ მწკრივად არტისტი-კაცები, რომელთაც ფრაკები ეცვათ. ამ სანახაობაზე საზოგადოებამ დაჰკრა ტაში და მისმა გრიალმა ყურთასმენა გაავსო დარბაზში. ქართულად ლექსის კარგად მკითხველი არტისტი თ. ნ. ერისთავი გამოვიდა ავანსცენაზედ და წაიკითხა დროისა და ადგილის შესაფერი ლექსი, რომელიც ჩვენ კარგად ვერ გავიგონეთ, რადგან პირველის ერთობლივის ტაშის გრიალი ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო. რაც გავიგონეთ, ისიც ვერაფერი გვეჩვენა. ამ დროს მარცხენა კუთხეში მდგარს კათედრას მიუახლოვდა ბ-ნი ა. ღულაძე, აიღო ხელში რაღაც წიგნი და დაიწყო კითხვა დაუსრულებელის ისტორიისა, ვითომ ჩვენის თეატრის ისტორიისა. ამბობენ, რომ ეგ წიგნი თეატრის იუბილეისთვის იქმნა განსაკუთრებით დაბეჭდილი და შეიცავს ჩვენის თეატრის შესახებ ყოველგვარ დაწვრილებულს ამბავს და გარემოებასაო. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ღირსეულად არის დაწერილი ეს წიგნი, მაგრამ ის-კი, რაც ბ-ნმა ა. ღულაძემ იკითხა იმ საღამოს თითქმის მთელის ნახევარ საათის განმავლობაში და იკითხა მეტის-მეტად უგემურად, სწორედ უადგილო რამ იყო, მეტად უშნო, უწესო და უმართებულო ქართულით დაწერილი. ბ-ნმა ღულაძემ დაიწყო ქართულის თეატრის ისტორიის კითხვა, მოჰყვა მეთვრამეტე საუკუნიდამ და — ღმერთო! — რა არ მიჩმახა რა არ მოჩმახა. თქვენი მტერი, ამოდენა საზოგადოებას წელი მოსწყდა, სული შეუწუხდა და, წუთის წინად სა-

---

მიიტანა ერთხელ ჩუმად კენჭებით სავსე გუდა და ჩააბნია შიგ ხვიმურში. მარცვლების მაგიერად კრიჭაში დაიწყო კენჭებმა ჩამოდენა, დიდს გაჭირებაში ჩავარდა წისქვილი. ქვები მკვიდრად, მაგრად, თავისებურად ტრიალებდნენ და როგორც იყო დიდის წვა-დაგვით აბურნუთებდნენ კენჭებს. გაუჭირდა, სუსტდებოდა, ჭირის ოფლს ასხამდა, ხვნეშოდა და კვნესოდა წისქვილი. ის-ის იყო უნდა დამდგარიყო, რომ ამ დროს მეწისქვილეს გამოეღვიძა. ნახა ალატი და შენიშნა, ფქვილის მაგიერად მიწა იყო, კრიჭაში კენჭები ჩამოდის. დიდად შესწუხდა, დაიწყო ჩივილი ყველასთან, ვინც-კი შეჰხვდებოდა... ხალხი უფრო აღელვდა. დამნაშავე თითონ ხალხმა იპოვნა და დაჭერილი წისქვილის კარებზე მოიყვანეს. ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, თავ-პირზე სისხლი ჩამოსდიოდა ამ უნამუსო კაცს, კბილები დაეკრიჭა, ტუჩები დაჰბოშებოდა ისე, რომ კბილები უჩანდა... გაბრაზებულმა ხალხმა ქვეყნის მტერი წარუდგინა თედეს.

— გაუშვით, თავი დაანებეთო, ევედრებოდა ხალხს თედე და თან წვერს ივარცხნიდა: გაუშვით, შვილო, ათასიც რომ სცემოთ და თავ-პირი ამტვრიოთ, ავი კაცი ავ-კაცობას არ მოიშლის. მაგას თვით ზეცა დასჯის. ზეცამ თვით იცის სასჯელი უზნეოთა და უნამუსოთა.

— ჩვენ ზეცას ვერ მოვუცდითო, დრტვინავდა და ბორგავდა ხალხი: ჩვენც ღმერთმა გაგვაჩინა და მოგვცა სიმართლის სასწორი ხელში არა, თედე, ჩვენ ღმერთს ვერ ველოდებით, ვერა! უნდა ჩვენის ხელით გადავახდევინოთ ამ უმსგავსს, ამ წყეულს კაცს. მოიტანეთ აქ იმ კენჭების ფქვილი, ამ ავ-სულმა რომ წისქვილს დააყარა. მოიტანეს მართლაც კენჭების ფქვილი და შეაყარეს თვალებში ავაზაკს. იმავე კენჭების ფქვილისა შეუზილეს კვერი და აჭამეს. ზარმაცადა სჭამდა დამნაშავე მიწის კვერს, მართალია, მაგრამ ხალხი სტენდა პირში და ძალად აყლაპვინებდა. საბრალო სტიროდა და ჩიოდა.

— მაპატიეთ, ხალხნოვო, ჰყვიროდა ავაზაკი: შევცდი, შევცდი და ნუ მტანჯავთ, მეყოფა ამდენი შეურაცხყოფა. მე ერთის კაცის მტრობა მედვა გულში და არა მთელის სოფლისა.

— არა, — უპასუხებდა ხალხი: — ქვეყნის მტერს, ქვეყნის მოღალატეს ეგ შეჰშვენის. მიდიოდა ხალხი რიგ-რიგით, ზოგი აფურთხებდა, სხვა თავში უფაჩუნებდა ავაზაკს.

თედე გულ-ჩვილი, სათნოიანი კაცი იყო და ეხვეწებოდა ხალხს, თავი დაანებეთ და ნუ აწვალებთ ავაზაკსაო. ხალხი არ ანებებდა კიდევ თავს თავის მტერს, მანამ თედემ არ უთხრა, რომ წისქვილს მოვშლი, თუ თავს არ დაანებებთო. ხალხი შეშინდა და განათავისუფლა წისქვილის მტერი.

მძინარა თედეს ერთხელ ძილში მაჯლაჯუნა დააწვა. ბევრი ეწვალა იხრიალა საცოდავმა, ის ღამე ტანჯვით გაატარა. დილით, როცა გამოეღვიძა, ადგა და იფიქრა: ცოდვა რაღაც მქონიაო, დაღონდა ფრიად, ცოდვის მოსანანებლად ბერად შედგომა განიზრახა. ერთს მიყრუებულს, უღრანს ადგილას იპოვნა გამოქვაბული კლდე და დასახლდა იქ. დღესა და ღამეს ლოცვაში, ღვთის ვედრებაში, მარხულობაში ატარებდა. მეწისქვილეს ანდერძი დაუგდო, რომ ნედლის საფქვავის მომტანისათვის წისქვილი არა დროს არ დაეთმო... სოფელმა არ იცოდა თედეს ბინა და არც იმის ბერად წასვლა. სწუხდა ხალხი და ერთი მეორეს ჰკითხავდა თედეს ამბავს, მაგრამ ნამდვილი ვერავის შეეტყო.

თედემ სამი წელი დაჰყო ისე, რომ კაცის სახე არ დაუნახავს ბედნიერად ჰრაცხდა თედე თავის თავს გამოქვაბულის გარეშემო ისე სადაც-კი ან ქვა ეგდო, ან ხე, ან ერთი გამხმარი წბილა, ყველა უყვარდა თედეს და, როგორც შვილებს, თავს დასტრიალებდა. გაზაფხულზე თითოეულის ყვავილის გაშლა და ბალახის ამოსვლა ბალღივით ალაღებდა. არა მარტო ბალახებს იცნობდა თედე, თითოეული მწერი და ნადირი გაიცნო იმ არემარესი. სათითაოდ იცნობდა და მიეფერებოდა ხოლმე ფუტკრებს, როგორც დედა შვილებს, როდესაც მოფრინდებოდნენ, სხდებოდნენ ყვავილებზე თაფლის საკრეფლად. პურისათვის დაღონება თედეს არ უნდოდა, რადგან ყოველ დილით გამოქვაბულის შესავალში ხავსიანს ლოდზე თითო ხმიადი დაუხვდებოდა ხოლმე ზედ-წარწერით: „პატიოსანს, ღვთის მოშიშს, ქვეყნის ერთგულს კაცს თედეს მოწყალება ღვთისა არ დააკლდება“.

თავის წისქვილისა და სოფლის ამბავი აღარ ესმოდა თედეს და ეს აწუხებდა. არ იცოდა საწყალმა თედემ, რომ იმის წისქვილს და იმის სოფელს უბედურება დაადგა. ერთხელ სოფელში ქორწილი იყო: დიდის ლხინისა და მხიარულების ხმა ისმოდა, სტვირისა და ნაღარის ხმა აყრუებდა იქაურობას. ხალხი დარაჯებული ჯიხვებითა და ჯამებით სვამდა ღვინოს, იმღეროდა, მხიარულობდა, ნეფე დედოფალი მზესა და მთვარესავით ისხდნენ ჯარის თავში, თავზე გვირგვინი ედგათ და თვალებითა სჭამდნენ ერთმანეთს. სწორედ ამ დროს მოიტანა ერთმა ყველას შემაძრწუნებელი ამბავი.

— ქორწილი რომ ქორწილია, დაიძახა იმან, თან ცრემლები თვალებზე მოსდგომოდა და გული ყელში ებჯინებოდა: კარგია მხიარულება და არაკარგი მხიარულების ჩაშლა, მაგრამ რა ვქნა, რომ არ გითხრათ და არ გაგაგებინოთ ყველასათვის სატირელი და საჯავრელი ამბავი: წისქვილი დადგა!

ხალხი ამ ამბავზე წამოიშალა ფეხზე, თავს ზარი ეცა, ნეფე დედოფალმა გვირგვინები თავის ხელით მოიგლიჯეს, გადაყარეს და დაიშინეს თავში და პირში.

— მართლა, დადგა წისქვილი? ჰკითხავდა ერთი ამბის მომტანს.

— მართლა, მართლა, უპასუხებდა იგი.

დღესასწაულოდ მომართული, ახლა ხან უვითლდებოდა და ხან წითლდებოდა სირცხვილით. ზოგმა ვეღარ მოითმინა, აღარ მოერიდა არაფერს და სცენას დაწყო; ზოგი იძახდა, კმარა, გეყოფაო. ბ-ნმა ღულაძემ-კი წარბიც არ შეიხარა, არწივებრ მოავლო თვალი ზემო ქანდარას, შეუბღვირა და მოჰყვა კვლავ უთავბოლო წიგნის კითხვას. ნეტა რა საჭირო იყო, რომ იუბილეის ცერემონიის მოთავეებმა ეს უგემური წიგნი ამოირჩიეს წასაკითხავად? ან რას ჰფიქრობდა თვითონ ბ-ნი ღულაძე, განათლებული და ნასწავლი ახალგაზდა, როცა ეს ახირება მისცეს, საჯაროდ წაიკითხეო! როგორ არ უთხრა მეთაურებს, რომ იმ სადღესასწაულო წუთს სრულიად უადგილო, სასაცილო და სამარცხვინო იქმნებოდა იმ ნაწარმოების (?) კითხვა, რომელიც იმან წაგვიკითხა. ნუ თუ ვერ მოახერხეს, რომ ასიოდ-ორასიოდე სტრიქონი ჩვენის თეატრის შესახებ რიგიანად დაეწერინებინათ ვისთვისმე და იმისი წაკითხვა კარგის მკითხველის თვის მიენდოთ?!

ბოლოს შეგვიბრალა ღმერთმა და გაათავა ბ-ნმა ღულაძემ კითხვა. ბ-ნმა ერისთავმა წაიკითხა ადრესი „წერა-კითხვის საზოგადოებისა". ადრესი მოკლედ იყო, დიდის გრძნობით დაწერილი. „საზოგადოება" ამ ადრესით მხურვალს სალამს უძღვნიდა დასს და ამბობდა, რომ თქვენც იმავე საგანს ემსახურებით, რასაც ჩვენაო, ჩვენ წერა-კითხვით და თქვენ ცხოველის სიტყვით იღწვით ქვეყნის წარმატებისათვისაო. თეატრში დამსწრე საზოგადოების გაცივებული გული კვლავ გაათბო და შეანძრია ამ ადამიანურმა, მეტად მაღალისა და კეთილშობილის გრძნობით აღსავსე მხურვალე სალამმა, რომელიც უძღვნა «წერა-კითხვის საზოგადოებამ» ჩვენის თეატრის მოღვაწეთა გუნდს. მერე-კი ისევ დაიწყო ჩვენი ტანჯვა და ცივმა ოფლმა კვლავ დაგვასხა, ჩვენის საზოგადოების საყვარელმა არტისტმა, ნიჭიერმა კომიკმა აბაშიძემ კვლავ დაიწყო ზემოხსენებულის საიუბილეო წიგნის კითხვა, ამ ხანად „თეატრის მნიშვნელობაზედ". კომიკი რეზონიორობდა და გვასწავლიდა, რა მნიშვნელობა აქვს თეატრს, და მერე ისიც რითი? თავის ხელოვნურის თამაშობით-კი არა, უნიჭოდ დაწერილ წერილის დაკვნესრის კითხვით! არტისტმა ბ-ნმა გ. ყიფიანმა წაიკითხა სამიოდე დეპეშა, მოსული იმ დღეს მოსკოვიდამ, გორიდამ და კავკავიდამ. დეპეშის მომწერნი ულოცავდნენ ქართულს თეატრს იუბილეის და ამბობდნენ, რომ გულითა ვსარობთ ჩვენის თეატრის წარმატებასა, ვსვამთ თეატრის სადღეგრძელოს და ვსთხოვთ ღმერთს, უკვდავების გვირგვინით შემოსილიყოს ეგ ჩვენი ნორჩი დაწესებულებაო. საზოგადოებამ ტაშის გრიალით მისცა პასუხი ამ დეპეშებს და ჰყვიროდა: ამინ, ამინო! საიუბილეო დღესასწაული დაგვირგვინდა მით, რომ ბ-ნმა ნ. ერისთავმა წაიკითხა მშვენიერი, გრძნობით და მამულის მოყვარეობით სავსე ლექსი, მიმართული თეატრის პირველ მოღვაწეთადმი, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი ძალა და ღონე და

დასასრულ მისცეს ქართულ თეატრს გათავდა საიუბილეო დღესასწაული და დაიწყო წარმოდგენა რამდენისამე პიესის ნაწყვეტისა. პირველად წარმოადგინეს „გაყრა", პირველი მოქმედება და კარგადაც წარმოადგინეს. ბ-ნი გ. ყიფიანი და კ. აბაშიძე შეუდარებელნი იყვნენ, ერთი ანდუყაფარის როლში და მეორე—მიკირტუმ გასპარიჩისაში. არ იყო ურიგო მოურავის როლში ბ-ნი კანდელაკიც, რომელმაც მხოლოდ შარშან დაიწყო ჩვენს სცენაზედ თამაშობა და მისი პირველი დებიუტი მაშინაც ეს როლი იყო. რამდენადაც მაშინ არ კარგადა ეს ახალგაზდა არტისტი, იმდენად კარგი იყო წელს. ეტყობა, ერთის წლის მეცადინეობას უშველნია მისთვის. მივულოცავთ და ვისურვებთ უმეტესს წარმატებას. ანსამბლი არაფრით არ გაუფუჭებიათ არც ბ-ნს გუნიას რუსთველეს როლში, არც რეხელს გაბრიელისაში, და ასე გასინჯეთ, არც მელიქიშვილის ქალს ყარდაშვერდის როლში.

პირველი მოქმედება „ვაი ჭკუისაგან" ბ-ნ აბაშიძისა და ქ-ნ საფაროვის დღესასწაული და ტრიუმფი იყო სწორედ. საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა ამ ორის არტისტის შეუდარებელის და მეტად ხელოვანის თამაშობით. ერთიც და მეორეც, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო, თვალ-წინ გვიშლიდნენ თავის მდიდარს საარტისტო ნიჭს, რომელიც ფასდაუდებელ, პატიოსან თვალივით ბრწყინავდა, ელვარებდა და თავის წყლის და ჯავარს თითონვე შესტრფოდა და არშიყივით ჰქყეფდა. ერთიცა და მეორეც კარგად ჰგრძნობდა თავის მომხიბლავს, მომჯადოებელს ძალას, ჰგრძნობდა, რომ იმათმა თამაშობამ შეგვიპყრო, დაგვიმონავა და მათი ყურმოჭრილი ყმა გაგვხადა იმ წუთში. იმისთანა ფამუსოვი და ლიზა, როგორიც იყო აბაშიძე და საფაროვისა, ბევრ სცენას დაამშვენებდა, არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენზე მეტად წარმატებულს ქვეყანაშიაც. სამწუხაროდ, ამათ თამაშობის ჯადოს ბევრი რამ დააკლო გუნიამ, რომელიც სრულიად არ იყო შესაფერი ჩაცკის როლისათვის, და ბ-ნმა შათირიშვილმა, რომელსაც ცხადად ეტყობოდა გამოუცდელობა და სცენის შეუჩვევლობა. რაც შეეხება სოფიას, ფამუსოვის ქალს, ამ როლში ქ-ნი ბ. ავალოვისა არ იყო ურიგო და თავის მოხდენილის გარეგნობით ხომ ფრიად შესაფერი იყო ამ როლისათვის.

„ხანუმას" მეორე მოქმედებამ ჩვეულებრივის ეშხით და შნოთი ჩაიარა. ნ. გაბუნია-ცაგარლისა თავისებურად სულდგმულად თამაშობდა „ხანუმას" როლს გასაოცარს ეშხზედ იყო იმ საღამოს ეს ნიჭიერი არტისტი-ქალი, რომელმაც არ დასტოვა არც ერთი მცირეოდენი ნაკვთი და თვისება-კი „ოსტატის დედაკაცის ხანუმასი", რომ მხიარულის ზღვარებით, ფოლადებრივის სიმტკიცით არ გამოეხატა, არ დაენახვებინა. ილიუზია ისე სრული იყო, რომ კაცს ავიწყდებოდა, მართლა იმისი ნაცნობი არტისტი-ქალი სდგას იმის წინაშე სცენაზე, თუ სწორედ ვიღაც «ოსტატი დედაკაცი» მოუყვანიათ ხაროფისისა და კლდის უბნიდამ თავის ქათიბით და უენაურის ჩაცმულობით და იმას მაჩვენებენო. აკოფას (კ. აბაშიძეს) რაღა ქება უნდა, კარგი იყო და კარგი. რა სასიამოვნო იქნებოდა, რომ მელიქიშვილის ქალი ცოტას კიდევ ცდილიყო, იქამდე მაინც მიეღწია, რომ ანსამბლი არ შეესუსტებინა. მაგრამ ისიც სასახელოდ ჩაეთვლება ამ ქალს, რომ წელს მაინც ბევრად უკეთესად უჭირავს თავი სცენაზედ და ბევრად კარგად ამბობს თავის როლს, თუმცა ათასში ერთხელ მაინც ბორძიკობს კიდევ...

„ხათაბალაში" კიდევ ვნახეთ ჩვენი ნაცნობი გარასიმ იაკულიჩ ზამახოვი, რომლის როლსაც ისე ოსტატურად და ისეთის დიდის დაფიქრებით ასრულებს ბ-ნი კ. ყიფიანი, ეს მეოთხე შვენება, საუნჯე და სიქადული ჩვენის ათის წლის თეატრისა...

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. მცხეთა. ერთის ცხარე ისრის ტყორცნა მწადიან სოფლის ერთ-ერთ მოხელესაკენ, თუ ყარამნიანის ფერიების მანქანებით არ აიცილა თავიდგან, მაგრამ, იმედია, ისე მაქვს მომართული მშვილდ-ისარი, რომ, ფერიები-კი არა, ოჰყალი ჯადოც რომ გვერდით ეჯდეს, ისიც სათვალს ვერ მონახავს. ჯერ-კი გიამბობთ, რა გაჭირებულს ყოფაშია მცხეთა. ხშირად გვესმის ხოლმე მცხეთელებს, რატომ სკოლაზე არასა ზრუნავთო, აი ამ-და-ამ ალაგას გაიმართა სკოლა და თქვენ რაღა დაგემართათო. თევზმა სთქვა: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირში წყალი მიდგაო. ამისი არ იყოს, განა ჩვენ გული არ გვეწვის, განა ვერ ვხედავთ ავსა და კარგსა, მაგრამ რას ვიზამთ, როცა ჩვენი თავიც ჩვენს ნებაზედ აღარ არის, როცა მოსაფიქრებლადაც ველარ მოგვიცლია. განა ჩვენ არ ვიცით, რომ ზოგიერთ მიყრუებულ ალაგას სკოლა არსებობს და ამ ყოველ მხრის მგზავრის მასპინძელ მცხეთაში-კი არა! რას იზამ, «ამჯერ ღონესა ჰქვიან, დამიშვე ულონობასაო". ამოდენა ბეგარამ თავიდგან გონება გამოგვაცალა: ერთი ძმა რომ მივდივართ, მეორე წინ შემოგვეყრება. გარდა ამისა, ეხლა სხვა გამოგვიტყვრინეს ამ გაზაფხულზედ: ბ-ნმა ჩ—მ თავს იდვა და შეუდგა ჩაფრების სახლების კეთებას ბეგარით. გამოგვიცხადა, დღეში ათი კაცი და ხუთი ურემი გამოასხითო; ეგონა, რომ ჯერ მცხეთელებს ბეგარა არ უნახავთო. ნათქვამია: „ცხრა ძმას ერთი ცხენი ჰყავნდა, რომელიც შეჯდებოდა, მაშინვე გააჭენებდა და იტყოდა, რამდენი ხანია აღარ „შემჯდარვარო", და ცხენს კი თავისი ემართებოდაო. სწორედ ასე მოგვივიდა მცხეთელებსა, ისიც იმ დროს, როცა წლის მოსავალი და პატრონი ერთმანეთს შესტიროდა, იმ დროს, როცა ერთი მომკალი მუშა ღედღეულთ სალოცავად მიგვაჩნდა, იმ დროს, როცა საკომლო ხარჯისათვის სახლებს გვირბეედნენ. აჰა, შევასრულეთ ესეცა და სხვა ბრძანება მოგვივიდა: მცხეთის პირდაპირ ვილაცა ბერძენს მარმარილოს ქვები უპოვია და იმ ალაგას დღეში ექვსი კაცი ყარაული დააყენეთო.

ოდეს კაცი დასნეულდეს,
მწედ მოჰკლავს ერთი ჭირი,
თუ მეორეც ზედ დაერთოს,
მას საქმე აქვს გასაჭირი.

ამასაც ჯანი გავარდეს; როგორც იქნება გავუძლებთ, მაგრამ ეს ვინ გვაკმარა. რაც გლეხებს სული და ღონე შეგვრჩა, ახლა მამასახლისმა ამოგვართვა წაგვიყვანა. ვითომ ქირითა და თიევები გვაზიდვინა: წადით თქვენი ფული ახლა თქვენ თითონვე ითხოვეთო. ეს ლა გვაკლია, რაღა.

განა შესაძლოა ჩვენს სოფლის მოხელეს შეჰნიშნოთ, რომ ცოტაოდნად მაინც მიხედოს თავისს თანამდებობას, განა იფიქრებ, რომ საზოგადო მოვალეობა აწევთ, განა იზრუნებს, ვინმე რომ გარდაიცვალოს, იმის ობლებს მზრუნველი დაუნიშნოს, რათა უპატრონობით ცუდი დღე არ დაემართოთ, როგორც ამას წინად მოხდა: ერთმა 7—8 წლის ვაჟმა უპატრონობით იარა, ვინ იცის სად ეძინა, როდის ჰშიოდა, დასნეულდა და გარდაიცვალა... ამეებზე ლაპარაკი ჭირივით ეჯავრებათ და აბა რა სიკეთეს უნდა ველოდებოდეთ იმათგან. აბა ჰკითხეთ, აუსრულებიათ სამი, ან ოთხი სასამართლოს გადაწყვეტილი განაჩენი? თუ აუსრულებიათ, ისიც თავიანთთვის, «ჩემი ემართა და იმაში გამოვართვიო».ერთი სიტყვით, ისე წათამამებულია ჩვენში ძალ-მომრეობა,

---

— მართალია წისქვილის დადგომა? მორბოდა სხვა თავ-გადაგლეჯილი.

— მართალია კაცო, მაშ განა გიჟი ვარ, მოგატყუოთ და ტყუილად დაგაფეთიანოთ ხალხი.

— მაშ დადგა, დადგა წისქვილი? იძახოდა მესამე პირ-განაცრებული: იქნება ტყუილი იყოს?!. გულს როგორღაც არ ეჯერება.

— მაშ ველარ გავიგონებთ წისქვილის ხრიალ-გრიალს! აფსუს! აფსუს, წისქვილო! აფსუს, თედეს ამაგო! ამბობდა მეოთხე.

— რაღას გაიგონებთ, ჩემო ძმაო, მე თითონ ჩემის თვალით ვნახე წისქვილი. შენი მტერი ჩავარდეს იმ ყოფაში, რა ყოფაშიაც წისქვილია. მკვდარსა ჰგავს საბრალო: დოლაბები შეჩერებულან, ბორბალი გაშტერებულა, სარეკელა თავ-დაკიდებული ცრემლსა ჰღვრის, ხვიმურს პირი დაუღია მშიერ გლახასავით, თითქოს იხვეწება—მაჭამეთ პური, მოწყალება მოიღეთო. წისქვილის სიბრალულით იქ ველარ დავსდექ, სთქვა ამბის მომტანმა და თან თვალებიდამ ცრემლი მოიწმინდა. ხალხი რომ სწუხდა, საკვირველიც არ არის: წისქვილი ყველას ეკუთვნოდა. ხალხმა, ამ ამბის გამგონემ, მიანება თავი ქორწილს და მიაშურა წისქვილს. დედაკაცები, ბალღები, მოხუცებულნი, რომელთაც უჯოხოდ სიარული აღარ შეეძლოთ, ტირილით მიდიოდნენ თავ-გადაგლეჯილნი წისქვილისაკენ. შეკრბა წისქვილთან ხალხი. დაუწყეს სინჯვა: ზოგი სალორეში შეძვრა და დაუწყეს ზიდვა ბორბლის ფრთებს, სხვა თითსა სჩრიდა წისქვილის ყელში. ზოგი თვით შენობას აბრალებდა წისქვილის დადგომას და ჰერს აყრა დაუპირა. ერთმა ბოძს დააბრალა: „ეს ბოძი უალაგო ალაგასა სდგასო", იძახოდა, თუმცა-კი ბოძისა არაფერი ბრალი არ იყო. სხვამ კარებს დააბრალა: „ამ კარებიდამ ქარი შედის, წისქვილი იმას დაუყენებიაო". მესამემ ფუძე წამოაყენა მიზეზად: „ამ ადგილას კაი ფუძე არ არის, წისქვილის დადგომა ეშმაკის მანქანება არისო". მეოთხემ კუდიანს ბებერს დააბრალა: „იმ უკბილო ბებრის საფქავი არ უნდა გვეფქვათ, გრძნეულია, ნავსია, წისქვილი იმას მოუნავსიაო". მეხუთემ თედეს დააბრალა: „ალბად თედემ ღმერთს შესცოდა, რომ გაიპარა, დაიმალა სადღაც და ღმერთმაც წისქვილი იმიტომ მოგვიშალაო". ნამდვილს მიზეზს წისქვილის დადგომისას ვერავინ მიმხვდარიყო. ნამდვილი მიზეზი-კი წისქვილის დადგომისა ის იყო, რომ წისქვილს წყალი დაჰკლებოდა, ამას ვერავინ ჰხედავდა და ვერავინა ჰგრძნობდა. მეწისქვილეს თავი დაექინდრა, ცეცხლს მოსჯდომოდა და აბოლებდა ჩიბუხს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— ახ, ნეტა თედე მოიყვანაო, იძახდნენ სოფლელნი და თან გულს იმჯილავდნენ: იმის მეტი წისქვილს ვერავინ უშველისო.

თედემაც იმ ხანებში სიზმარი ჰნახა: იმისი წისქვილი ჩამოშლილიყო, წისქვილის ქვები მოეპარათ, ბორბალი გაელეწათ, ფრთები აქეთ-იქით დაესროლ-მოესროლათ, წისქვილის ბოძებზე ყვავები დამსხდარიყვნენ და საძაგლად ჩხაოდნენ.

ეს ცუდი ნიშანიაო, იფიქრა თედემ და გამოსწია წისქვილის სანახავად. სწორედ იმ დროს გამოჩნდა ულრანის ტყიდამ, როცა ხალხი მეტადრე შეწუხებული და სასოება მიხდილი წისქვილს დასტიროდა. გამოჩნდა თედე ხშირის ტყიდამ თავ-დაკიდებული, დაფიქრებული. თოვლივით თეთრი წვერი მზესავით მოანათებდა და გულ-მკერდს სრულიად უმალავდა. თედე ყავარჯენს მოიბჯენდა. ხალხმა მაშინვე იცნო თედე. საბრალო ხალხს ღამე გაუთენდა, მზე ამოუვიდა.

— აგერ თედე, კაცო, აგერ ჩვენი თედე, ჰოი, შენს მოსვლას ვენაცვალე! დაიგრიალა ხალხმა და შემოეხვია გარს: ზოგი ხელებს უკოცნიდა, სხვა ფეხებს და დაგლეჯილის ჩოხის კალთებს.

— რა არის, რა ამბავია? იკითხა თედემ.

— წისქვილი დაგვიდგა, გენაცვალე, წისქვილი! შეჰბღავლა ხალხმა.

— მე უთქვენოდ გავიგე, სთქვა თედემ: რომ წისქვილს უბედურება ადგა თავზედ, და კიდეც იმიტომ მოვედ. თედემ გასინჯა წისქვილი და ისე მიეალერსა, როგორც თავისს პირმშოშვილს. ყოველი ნაწილი დაათვალიერა სარეკელადამ მოყოლებული კრიჭამდე. ყველაფერი კარგად იყო, არაფერი არა გაფუჭებულიყო. შემდეგ ღარი დაათვალიერა და სარუეს დაჰხედა. თედეს გაეღიმა.

— ნუ გეშინიათ, ძმანო, უთხრა მან ხალხს, რომელიც თვალ-წარბში შესჩერებოდა: წისქვილი ეხლავე, ამ წამშივე წინანდებურად დატრიალდება.

— აბა, შენ იცი, შენ გენაცვალეთ, თავს შემოგევლეთ, შეჰყვირა გამხნევებულმა ხალხმა.

თედემ სათავისაკენ გასწია და ჭალაში მიეფარა. ხალხს უთხრა, რომ წისქვილთან მოეცადათ. გასინჯა თედემ სარუე, ერთს ადგილს გაფუჭებულიყო, წყალს გადაეჭამა სარუე და გადადიოდა, თვით სათავეშიაც დაჰკლებოდა წყალს გვალვისაგან. თედემ წყალი მოუგდო, სარუე გადიდდა, აიმღვრა. ხალხი შესჩერებოდა წისქვილს და გაფაციცებით ელოდა წისქვილის დაბრუნებას. წყალი რომ მიემატა, წისქვილი შეტოკდა ჯერ ნელ-ნელა. წისქვილის შეტოკებასთან ყველა იქ მყოფის გულიც შეტოკდა. წისქვილმა თანდათან მოიმატა და დაიწყო გრიალით ტრიალი. გამოუთქმელმა სიხარულმა შეიპყრო ხალხი. ნამდვილი მიზეზიც წისქვილის დადგომისა გაიგეს.

— თურმე წყალი არ დაჰკლებია, ეუბნებოდნენ სოფლელნი ერთმანეთს: და ჩვენ-კი არ ვიცოდით.

თედეც მოვიდა და დააყენა ხალხი სარუეს პირზე.

— მიხვდით ხომ მიზეზს წისქვილის დადგომისას? ჰკითხავდა თედე ხალხს.

— მივხვდით, შენი ჭირიმე, როგორ არ მივხვდით, უპასუხებდა ხალხი: წყალი ჰკლებია, წყალი!

ვაჟა-ფშაველა

რომ ღართის კარის დაელა გეგონებათ. ეხლა საკომლო და სასოფლო ხარჯი გაიწერება და სულ კანკალით შევცქერით... ეს მეოთხე თთვეა, რაც მცხეთის მოსამართლეებმა მისცეს მცხეთის ბოქაულს საჩივარი, საკმაო საბუთებიც წარუდგინეს ამ მოხელეს შესახებ და სთხოვეს იმისი გადაყენება. აჰა, ჯერაც პასუხი არა სჩანს. გაიგო რა, რომ ჯერ პასუხი არ არისო, სხვა ოსტატობა მოიგონა: რაც ჯარები მიდის და მოდის და იმათ საჭმლისათვის შეშა უნდებათ, სულ კარი-კარს ატაცებინებს გზირსა და ასე აწიოკებს ქვრივსა და ობოლს...

# დეპეშა

19 სექტემბერი

ვენა. მილან ობრენოვიჩი წავიდა კარსბადიდამ შვეიცარიაში და შემდეგ იქიდამ წავა პარიჟში.

იმპერატორს ვილჰელმს 19 ოკტომბერს ელიან სტამბოლში. პირველი ვეზირი დარდანელში მიეგებება იმპერატორს.

პარიჟი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე წავიდა ბიარიცს

ბელგრადი. ახალგაზრდა მეფეს ჯერ არ უნახავს თავისი დედა—დედოფალი; მიზეზი ამისი ის არის, რომ მილანს წერილი მიუწერია შვილისათვის და აუკრძალავს, ნურც შენ ჰნახავ შენს მშობელს დედას და ნურც მიიღებ, თუ შენ სანახავად მოვიდესო.

სოფია. იუსტიციის მინისტრის თხოვნით განთავისუფლებულ იქმნენ ნამინისტრალი რადოსლავოვი და ივანჩევი, რომელთაც სასამართლომ ათის დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

ბერლინი. რეიხსტაგი მოწოდებულ იქმნა 22 ოქტომბრისათვის.

შვერინი. გუშინ 1 1/2 საათზედ, ნაშუადღევისას გერმანიის მეფე-დედოფალი მობრძანდნენ აქ და დიდ ჰერცოგთანა და მის მეუღლესთან ერთად შემობრძანდნენ ქალაქში.

პეტერბურგის ბირჟა, 19 სექტემბ.

| | მყიდველნი მან. კ. | გამყიდველნი მან. კ. | გაყიდულნი მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 66 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 153 1/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 260 |
| —მეორისა | — „ | — „ | 237 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტემბრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3 1/2 »
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3 1/2
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს სოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

1890 წლის პირველ იანვრიდგან იჯარით გაიცემა სამ-სართულიანი სახლი ლაბორატორიისა, სალდათის მეიდანზე, დუქნებითა და სარდაფებით. ვისაც სურს, უნდა მოელაპარაკოს ფასზე სახლის პატრონს, საკუთარს სახლში, ლაბარატორიის ქუჩაზე, № 15

(1—1)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—30)

ზ. პ. ძის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

ა) უმთავრესნი მოთხრობანი საღმრთო ისტორიიდგან, სურათებით, საერო და სამრევლო სკოლებისთვის შედ. გ. იოსელიანის მიერ. ფასი 45 კაპ.

ბ) ლოცვანი, მისივე, ქართულად და რუსულად. ფასი 20 კაპ.

გ) კრებული არითმეტიკის ამოცანებისა. შედ. ნატროევისაგან. ფასი 35 კაპ

დ) მკვობარი (მეორე წიგნი ანბანს შემდეგ) შედ. რ. ჯაჯანაშვილისაგან. ფასი 35 კაპ.

(3—2)

ექიმი

# რეიხი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან და კვლავ იღებს თვალით ავადმყოფებს. გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 3.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

ცდა, კრებული, გამ. ალ. გარსევანიშვილის მიერ. „ 50
ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), შეთხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან . . . . . . . „ 55

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Каравань Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| | მან. | კაპ. |
| ცხოვრება დიდსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| ვენახის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ გ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუდისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუგუნავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . | 3 | „ |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა . . . | „ | 5 |

კერძო ექიმი

# პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (14—2)

მის. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზე, კუკიაში, სახლი № 108. (50—46)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Каравань-Сарай Земельнаго банка, № 102.


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 » . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 » . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 » . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 » . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 » . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.


Дов. ценз. Тифлисъ 20-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка, на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე